წმიდა დავით III

აღმაშენებელი

მეფე ქართველთა (1089—1125).

1266

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
Библиотека Академии Наук Грузии

მ. ბ.

თბილისი

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

1899 წ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 16 Іюля 1899 года.

წმიდა დავით III აღმაშენებელი

მეფე საქართველოსი (1089—1125).

ვიდრე მეფე დავით III ტახტზედ აღვიდოდა, საქართველო მეტად სამწუხარო მდგომარეობაში იყო. თოღრულ ბეგმა (1047) და ალპ-არსლანმა (1064) აიკლეს მთლად საქართველო, იავარ ჰყვეს ეკკლესიები, გასწყვიტეს მცხოვრებნი და შეიწყალეს მხოლოდ ისინი, ვინც მაჰმადიანობა მიიღო. ბერ-მონაზონები და განდეგილობით მოღვაწენი იკვლოდნენ წმ. ტრაპეზზედ და ყოველივე ქრისტიანული იმუსრებოდა მართლ-მადიდებელს სამეფოში ალყორანის სახელითა. თვით მეფე ბაგრატ IV (1027—1072), რაკი სასურველად ვერ მოეწყო მისთვის მაშინდელი საპოლიტიკო ვითარება, დატოვებულ იქმნა თანამორწმუნე ბერძენთაგან; ბერძნები კიდევაც სდევნიდნენ ბაგრატს და ამიტომ ეს მეფე იძულებული იყო ეტვირთნა ბატონობა სელჯუკებისა, ეძლია მათთვის ხარჯი და თვისი ქრისტეანე ბიძაშვილიც-კი მიეთხოვებინა ცოლად არპ-ასლანისათვის. შვილი ბაგრატ IV-ისა, გიორგი II (1027—1072), ნამდვილი რაინდი მაშინდელის დროისა, მხოლოდ არა მამა სამშობლოსი, ავიდა წინა-პართა ტახტზედ და დიდი მწუხარება გამოსცადა—იხილა თვით სამეფო ქალაქი ტფილისი (1078 წ.) სელჯუკების ხელში და იძულებული შეიქმნა გაქცეულიყო აბხაზეთს და იქ შეეფა-

1966

რებინა თავი. თურქნი მრავლად დაესახლნენ ქართლსა და კახეთში და დაიჭირეს ყველა ნაყოფიერი ადგილები მტკვრისა, იორისა და ალაზნის ნაპირებად.

მწყემსნი ეკკლესიისა ამ ბედ-შავ დროს ნაკლებად სცემდნენ ნუგეშს ერს, რომელიც მხოლოდ სახელით თუ იყო ქრისტიანე. მკრეხელობა, შური, ერთმანეთის გაუტანლობა, ღალატი სარწმუნოებისა და ბიწიერება გავრცელდა ქართველთა შორის და ძირს უთხრიდა უბედურის ერის ზნეობას. გამარჯვებულნი მტერნი ყველგან და ყოველთვის მრავლად შოულობდნენ მომხრეებს და იმათის შემწეობით მოჰყავდათ სისრულეში ყოველი თავისი განზრახვა, მიმართული ქრისტეს მმოსავის ქვეყნის დასაღუპავად. მონასტრები და სახლნი ღვთისანი დაცალიერდა, გაუქმდა, ან არა და მეჩეთებად იქმნა გადაქცეული. მახვილი თურქთა შეუწყალებლად ჰჟლეტდა ქართველთა სამღვდელოებას, რომელიც სცდილობდა არ გამქრალიყო ერში სარწმუნოება; მღვდელნი და ბერ-მონაზონნი, რომელთაც-კი მტერი მოასწრებდა მღვდელ-მოქმედებისა და უსისხლო მსხვერპლის შეწირვის დროს, თვით იწირებოდნენ მსხვერპლად; მოხუცნი მამა-კაცნი და დედა-კაცნიც-კი არ ეცოდებოდათ ბარბაროს მტრებსა; ქალთა და ასულთა აუპატიურებდნენ და ჰხდიდნენ ნამუსს, ყმაწვილნი და ჭაბუკნი მიჰყავდათ ტყვედ. ხანგრძლივმა არეულობამ და საზოგადო სიღატაკემ დაჰბადა ყოველ-გვარი უკანონობა და ბიწიერება.

კახეთის მფლობელმა აღსართან I-მა (1058—1084) უღალატა მამა-პაპის სარწმუნოებას და კახეთის ქრისტეანე გვირგვინოსანთა შორის მან პირველმა დაანახვა ერს დამღუპველი მაგალითი სარწმუნოების ღალატისა, რენეგატობისა. ერთ-

გულნი ძენი ეკკლესიისა სტოვებდნენ თავიანთ ბინასა და სახლ-კარს, იხიზნებოდნენ მთებში, იმალებოდნენ ტყე-ღრესა და მიუდგომელ ადგილებში და იმ სულიერს ნუგეშსაც-კი მოკლებულნი იყვნენ, რომ ვერ ჰხედავდნენ თავიანთ შორის ეკკლესიის მწყემსთ. მტრის მახვილს გადარჩენილნი იხოცებოდნენ სიმშილითა, რომელიც მალე გავრცელდა მთელს საქართველოში. აი ასეთს უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდა მართლ-მადიდებელი ეკკლესია ივერიისა. და კიდევ დიდ-ხანს იბატონებდა ნახევარ-მთვარე ჯვარზედა, კიდევ დიდხანს არ შესწყდებოდა ქრისტეანეთა სისხლის ღვრა, თუ რომ ქვეყნის საბედნიეროდა და ქრისტეანობის სანუგეშოდ, საქართველოს ტახტზედ არ ასულიყო დავით III, თვისის მამის მეფე გიორგი II-რეს მაგიერ, რომელსაც საქართველოს დიდებულებმა ძალა დაატანეს და უარი ათქმევინეს მეფობაზედ.

ბატონიშვილი დავით, ძე გიორგისა, მომავალი გვირგვინოსანი აღმაშენებელი მართლ-მადიდებელის სამეფოსი და ეკკლესიისა, იზრდებოდა მოსლემინთა შეუმჩნევლად ქართლის ერთს მცირე სოფელს რუისში, გულადსა და თვისის ვაჟკაცობით განთქმულ აზნაურ მამაცაშვილების სახლში. დაცარიელებულ და მკვიდრთა რიცხვით ყოვლად შემცირებულ საქართველოს ახალმა მეფემ ძლივს მოუყარა თავი ხალხს, რომელიც გახიზნულიყო აქეთ-იქით მიუვალს მთებში და თავს იფარავდა ციხე-სიმაგრეებში. მართლ-მადიდებელნი დიდებულნი და უმაღლესნი მოხელენი დიდის გაჭირებით ინახულებდნენ ხოლმე სელჯუკთა მოხარკე მეფეს წაღვლის თავს, იმერეთის სამზღვრად, საცა მაშინ იმყოფებოდა მეფე. თექვსმეტის წლის მეფე, რომელიც მხოლოდ სახელით იწოდებოდა მეფედ დაობლებულ და მოოხრებულ საქრისტიანო ქვეყნისა, ახლა

უკვე სრულ წლოვანი შეიქმნა. უზრუნველნი თურქნი არავითარს შიშს არა ჰგრძნობდნენ. ან-კი რა საშიში იყო მათთვის ის ერი, რომელიც დაჰმორჩილდებოდა მათს სარწმუნოებასა და ბატონობას? ის დიდებულნი, რომელთაც ისინი მფარველობას უწევდნენ და აქეზებდნენ ყოველ-გვარ უკანონო მოქმედებისა და ამბოხების სათესად? დავით III-მ კარგად გამოიყენა ეს უზრუნველობა თურქთა: შეაგროვა ძლიერი ჯარი და თვისის სიმამრის ყიფჩაყეთის მთავრის ატრაგ შარაგანიძის შემწეობით, რომელმაც თავისი ჯარი გამოუგზავნა მისაშველებლად, სძლია მთიელებს და გაიხადა თავის მოხარკედ. ამას გარდა 50 ათასი ოსი მოაქრისტეანა და ბევრნი მათ შორის საქართველოში გადმოასახლა.

იერუსალიმის აღებამ ევროპიელ ქრისტიანეთაგან დიდად წააქეზა მეფე დავით, აღაგზნო მის გულში მხურვალე გრძნობა ქრისტეანობის დაცვისა მართლ-მადიდებელს ქვეყანაში და, აი, დავითმაც შეჰკრიბა მხედრობა წმ. ჯვარის სახელითა და აღმხედრდა თვისთა დამმონავებელთა წინააღმდეგ. მეფემ ბრძანა, წავიმძღვაროთ წინ ხატი ღვთისა დედისა და ისე ვებრძოლოთ მტერსაო. საცა-კი დაეცა თავს მტერსა, ყველგან სძლია ჰაბუკმა მეფემ, თუმცა რიცხვით მტერი ბევრად მეტი იყო ხოლმე. დავითმა წაართვა თურქებს ტფილისის ქალაქი (1122 წ.), დაამშვიდა თვისნი ურჩნი დიდებულნი, მოსპო სამარცხვინო ხარჯი, რომელსაც აძლევდა საქართველო მოსლემინებსა და შეაკავშირა დაკნინებულნი ნაწილნი ქვეყნისა საზოგადო წეს-წყობილების დამყარებითა. სელჯუკთ კვლავ სცადეს რამდენჯერმე დაეპყრათ საქართველო, მაგრამ მათმა ცდამ ამაოდ ჩაიარა და მეფე დავით ყველგან გამარჯვებული რჩებოდა. თვით მოსლემანები ამბობდნენ, რომ

სასწაულებრივ ვიძლეოდით ხოლმე და ჩვენს ჯარს საკვირველ-მოქმედებით ჰყლეტდა წმ. მთავარ-მოწამე გიორგიო. სამშობ-ლოს გარეშეც გაიტანა თვისი მახვილი მამაცმა და ქრისტეს-მოყვარე რაინდმა მეფემ, ისმინა აჯა იმ დროს მეტად შევი-წროებულ სომეხთა და წაართვა მოსლემინებს ანი, რომელიც ტახტო ქალაქი იყო წინად სომეხთა სამეფოსი. იქ მეფემ ბრძანა, რომ ეკურთხებინათ ყველა ეკკლესიანი ანისა, რო-მელნიც მეჩეთებად გადაექცია ქრისტეს მტერს.

როცა თურმე დავით მეფე შევიდა ანის საკრებულო ტაძარში,—მოგვითხრობს სომეხთა ზეპირ-თქმულება,—მიუ-ახლოვდა თვისის გვირგვინოსან ბებიის საფლავს, იმ ტაძრის ამშენებლისას, რომელსაც კოტრატიმ ეწოდებოდა სახელად და რომელიც იყო მეუღლე გაგიკ I-ისა (989—1020) და უთხრა: „გიხაროდენ, დედოფალო, ღმერთმა იხსნა ეკკლესია შენი აგარიანთაგან“, და პასუხად ამ სიტყვებისა მოესმა თურ-მე საფლავით: „დიდებაჲ ღმერთსა!“ [1]) შემდეგ ძლევა-მოსილმა მეფემ დაიპყრო შირვანი, დაიჭირა დარუბანდი და მისი რკი-ნის კარი (ზოგთა თქმით—ანისა), ვითა ნიშანნი ძლევისა, დასდგა გელათის მონასტერში. ამ სახით, დავით მე-III-მ გასდგა სამზღვარნი თვისის სამეფოსი შავის ზღვიდან კასპიის ზღვამდე და ტრაპიზონიდან მესოპოტამიამდე, დიდი ჭკუა, მხნეობა და მამაცობა უნდა ჰქონოდა მეფეს, რომ აღედგინა თვისი დამხობილი და მტერთაგან დაპყრობილი ქვეყანა, დაე-მკვიდრებინა უშიშარი ცხოვრება ნანგრევთა შორის, აღეყვა-ვებინა დაქცეულნი ქალაქნი და მტკიცედ დაემყარებინა სა-კურთხეველნი უფლისანი.

---

[1]) იხ. Грузія и Арменія. Муравьевъ. ч. 2, стр. 269.

სამხედრო ძლევა-მოსილება საქართველოს ძლიერის მეფის დავითისა მიბანება იყო ჯვაროსანთა ლაშქრობისა. ქართველნი, აღფრთოვანებულნი, რომ ყველგან ისე ბრწყინვალედ გაიმარჯვეს წმ. ჯვარის უუბოროტეს მტერზედ, ახლა გაემზადნენ აღთქმის ქვეყანაში გასალაშქრებლად: იქ პალესტინის ქრისტიანეთა ბედის შემსუბუქებას შევეწევით და დასავლეთის ქრისტიანეთა თანა გამოვიხსნით ურჯულოთა ხელიდან ქრისტეს წმიდა საფლავსაო. თუმცა აღელვებულმა ზღვამ შთანთქა პირველნი ქველნი მხედარნი სარწმუნოებისა, მაგრამ ამ ბუნებრივის მიზეზით წარმომდგარმა უბედურებამ ვერ გაანელა გულ-მხურვალება ახალთა მხედართა, რომელთაც მშვიდობით მიაღწიეს წმ. ადგილს და, ასურეთის ქრისტეანებთანა და სომხეთის თავადებთან ერთად, არა მცირედი შემწეობა აღმოუჩინეს დასავლეთის ჯვაროსანთ, როცა ისენი ებრძოდნენ ქრისტეანობის მტრებს.

დავით მეფემ, რაკი გაათავისუფლა სამეფო თურქთა მოონობისაგან, შეუდგა ახლა ეკკლესიის და ერის მდგომარეობის განმართვისა და განკარგებასა. როგორც საფიქრებელიც იყო, ეს საქმე იმითი დაიწყო, რომ სამღვდელოებას მიაქცია ყურადღება და მის ზნე-დაცემულობას მოუნდომა წამლის პოვნა. წარსულ უწესოებათა და ღელვა-შფოთვის გამო ივერიის ეკკლესია სამწუხარო მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი: ულირსნი მწყემსნი, რომელნიც შედიოდნენ ცხოვართა ბინად არა კარითა ქრისტესითა, ჰფლობდნენ ეპარქიებს, ბიწიერება დამპყრობელთა ტ მეზობელ ერთა დამკვიდრებულიყო ქართველთა საზოგადოებასა და სამღვდელოებაში. „მღვდელნი, მატიანეს თქმით, შეიქმნენ წარმომადგენელნი ყოველ-გვარის უსჯულოებისა და უკეთურებისა და ღვთის შიშისა და სჯულის

მაგიერ უქადაგებდნენ ერს ურწმუნოებასა და ყოველ-გვარს უზნეობას. [2]) ამ ბოროტ-მოქმედებათა აღმოსაფხვრელად და ეკკლესიის განსაწმენდად, მეფე დავითმა 1103 წელს მოუწოდა რუის-ურბნისს შორის კრებას ეკკლესიის ღვთისნიერსა და განათლებულ მწყემსთა და ამ კრებაზედ დაესწრო თვითონაც, არა ვითარცა მეფე, არამედ ვითარცა მონა. [3]) ღვთივ-განბრძნობილთა მამათა და საქართველოს ეკკლესიის ერთგულთა მსახურთა სახელმძღვანელოდ დაიდეს წესნი მსოფლიო კრებათა და აგრედვე წეს-რიგნი საქართველოში ძველად მომხდარ კრებათაცა და წყევას მისცეს უღირსნი ეპისკოპოზნი, რომელნიც წესიერად არ იყვნენ მოსილნი ამ წოდებითა, ღვთის უარის-მყოფელნი დიდებულნი და ეკკლესიის უღირსნი მწყემსნი ერისკაცებად გამოაცხადეს. გარდაწყვეტილებანი ამ კრებისა (ძეგლის-წერა), 15 მუხლად განყოფილნი, გააკრეს საყოველთაო საუწყებელად მცხეთის საპატრიარქო ტაძრის ქვის სვეტებზედა და რუისის საკათედრო ტაძარში და ბოლოს ჩაურთეს ქართულს დიდს სჯულისკანონში. [4]) მეფე დავითმა იცოდა, რომ ივერიის სამეფოს დაცემა წარმოსდგა საქართველოს საერისთავოებად დანაწილებისა და ძლიერის არისტოკრატის გაჩენის მიზეზით; ამიტომ უმთავრესი თვისი ყურადღება მიაქცია ამ ბოროტების აღმოფხვრას. ქრისტეანობის უარის მყოფელი ლიპარიტ ორბელიანი, რომელსაც არ უნდოდა დაჰმორჩილებოდა სამეფო უფლებას და კრების გარდაწყვეტილებას, საბერძნეთს იქმნა განდევნილი,

---

[2]) იხ. О праздникахъ, установленныхъ Православною Грузинскою Церковью, Д. Пурцеладзе, стр. 26.

[3]) საქართ. ისტ. ვახუშტისა, გვ. 174.

[4]) იხ. ძეგლის წერა „საქართ. სამოთ.“ საბინინისა, გვ. 518—530.

ხოლო მისი აუარებელი ქონება შეირიცხა ხაზინისა და ეკკლესიის სასარგებლოდ. ასეთივე ბედი ხვდა კახეთის გამგებელსა და მფლობელს აღსართან II-ს (1102—1105), კაცს ყოვლად უნიჭოს, უხასიათოსა და ყოველს ღირსებას მოკლებულსა. დანარჩენი ფეოდალები, რაკი სასტიკი ღონის-ძიებანი იქმნა მიღებული მათ წინააღმდეგ, იძულებულნი შეიქმნენ შეეწყნარებინათ და დაჰმორჩილებოდნენ მეფის თვით-მპყრობლობის უფლებასა.

კეთილ-მორწმუნე მეფე დავითი, საყვარელი ერის და ქებული მის მიერ, შეუდგა ახლა, რაკი ცოტად თუ ბევრედ აღამაღლა და განასპეტაკა ზნეობა თვისთა ქვეშევრდომთა, დაცემული მაჰმადის თაყვანის-მცემელთა გავლენით, ეკკლესიების განახლებასა და შემკობასა. ამ აზრით, ჰნიშნავდა ყოველგან ღვთის-ნიერ ეპისკოპოზებს, ამრავლებდა რიცხვს საკურთხეველის მსახურთა და მფარველობდა სასულიერო განათლებას. განათლების გავრცელებისათვის მეფის ბრძანებით ყოველ-წლივ იგზანებოდნენ ახალ-გაზრდა ქართველნი საბერძნეთს უმაღლესის სწავლის მისაღებად. დავითმა კარგად იცოდა, რა დიდი განმანათლებელი მნიშველობაცა აქვს მართლმადიდებელს მონასტრებს სამეფოსა და ეკკლესიისათვის და ამიტომაც განაახლა დანგრეულნი მონასტერნი, — ეს განათლების ბუდენი, აღაშენა ბევრი ახალი მონასტერი (უმთავრესი ტაძარი ქვბთა-ხევის მონასტრისა, გელათის მონასტერი, უმთავრესი ტაძარი შიო-მღვიმის მონასტრისა და სხ.) დავითმა განათავისუფლა სამღვდელოება, მონასტრები და ეკკლესიები თავთავიანთ გლეხ-კაცობით ყოველ-გვარისა ბეგრისა და გარდასახადისაგან; დავითი აშენებდა ქსენონებს ავადმყოფთათვის, თავისის ხარჯით გამოიხსნიდა ხოლმე ტყვეებს და

ყოველ-დღე ურიგებდა ღარიბებს და გლახაკებს მოწყალებასა. სინას მთაზედ, სადაც მოსემ მიიღო ღვთისაგან სჯული, დავითმა აღაშენა მონასტერი წმ. მთავარ-მოწამის ეკატერინეს სახელობაზედ და დაადგინა მუნ მიტროპოლიტი. დავითს უყვარდა სათნოება და ქველობა, დიდად აფასებდა განათლებულ კაცთა ღვაწლსა სამეფო საქმეთა მართვაში და ამიტომ გარს-შემოიკრიბა ნიჭიერნი, გამოცდილნი და ქველობით განთქმულნი ვეზირნი, რომელთაც ირჩევდა არა მარტო ქართველთა შორის, არამედ უცხოთა შორისაც. ამ სახით დავითის მოწყალებით, საქართველოში კვლავ გაჩნდა სასულიერო განათლება და ამიტომ დრო ამ შესანიშნავის გვირგვინოსანის მეფობისა სამართლიანად ითვლება „ოქრის საუკუნედ“ სასულიერო განათლებისათვის. 1772 წლის გუჯარში მეფე სოლომონ I დიდი ამბობს, რომ დავით აღმაშენებელი მეორე ნოეა, საქართველოს დამხსნელი წყალთა რდვნისაგან.[5])

შედეგი დავითის ბრწყინვალე ძლევა-მოსილებისა, რომლის ამბავიც მოეფინა ევროპასაც და აზიასაც, ის იყო, რომ სელჯუკთა სულტანმა ძვირფასი ძღვენი გამოუგზავნა, ბერძენთა იმპერატორი ალექსი კომნენი (1081—1118) სცდილობდა მის დამეგობრებას. სომხებს კიდევ, ქართველთა მეზობლებს, რომელნიც დავითის შემწეობით განთავისუფლდნენ მოსლემინთა მონობისაგან და მოწიწებით ეკიდებოდნენ მის დიდებულს სახელს, გულით უნდოდათ შემოერთებოდნენ ქართველთ მართლ-მადებელს ეკკლესიას. ამ აზრით იქმნა მოწოდებული კრება წმ. მამათა ანის ქალაქს. კრებას თავსმჯდომარეობდა საქართველოს კათალიკოსი იოანე III. მხნე

---

[5]) Пурцеладзе, Груз. двор. грам. стр. 48.

მონაწილეობას იღებდა კრების საქმეებში მეფის მოძღვარი, სწავლული არსენი (თაგად ვაჩნაძეთაგანი), ეპისკოპოსი იყალთოსი, მაგრამ ხანგრძლიევი საღვთის-მეტყველო კამათი სომეხთა და ქართველთა ეკკლესიის დოღმატებისა და წესრიგის შესახებ ისე დასრულდა, რომ სასურველი შედეგი არ მოჰყვა და სომეხთა ეკკლესია არ შემოუერთდა საქართველოს. თვის განათლებას სამეფოში დავითმა გაათანასწორა უფლებანი სომეხთა და ქართველთა და სომეხთ ნებას აძლევდა, სადაც უნდოდათ, იქ დასახლებულიყვნენ. ამ დიდებულს მეფეს, როგორც სამართლიანად ამბობს ისტორიკოსი თ. ბარათაშვილი, ალბად ის აზრივე ჰქონდა, როცა ათანასწორებდა უფლებით ქართველებსა და სომხებს და როცა სომეხთ ნებას აძლევდა საქართველოში დამკვიდრებულიყვნენ, რა აზრითაც ხელ-მძღვანელობდნენ შემაერთებელნი პოლონელთა და ლიტველა და სხვათა მეზობელთა ერთა. მაგრამ დროთა განმავლობამ დაამტკიცა, რომ მეფე დავითს ისეთივე შეცდომა მოუვიდა, როგორც შემდეგ კაზიმირ დიდს, რომელმაც ურინი დაამკვიდრა პოლონეთში.[6])

თუმცა ასეთს გამუდმებულს ზრუნვასა და ფიქრში იყო დავით მეფე და სცდილობდი ღვთისა ეკკლესიისა და ქვეყნის კეთილ-დღეობასა, მაინც იმდენს დროს კიდევ ჰპოვებდა, რომ ესაზრდოვებინა თავისი სული სამღვთო წიგნებისა და წმ. მამათა ნაწერების კითხვითა. კითხვა ამ წიგნებისა ისე უყვარდა დავით აღმაშენებელს, რომ არ იშორებდა არც მაშინ, როცა სანადიროდ წავიდოდა, არც მაშინ, როცა ლა-

---

[6]) იხ. Ист. Груз. Кн. С. Баратова т. IV—V Ист. среднихъ вѣковъ, ст. 25—26.

შჭრობაში იყო. უფრო უყვარდა კითხვა ახალ აღთქმის წიგნთა შორის: სახარებისა, სამოციქულოსი და აპოკალიპსისა. მეფე დავითს ჩვეულებადა ჰქონდა, რამდენჯერაც წაიკითხავდა სამოციქულოს თავიდგან ბოლომდე, იმდენჯერ წიგნის ბოლოში ნიშანს დასვამდა. წლის გასულს, როგორც ჰმოწმობს მატინე, ამისთანა ნიშანი 24 თურმე იყო ხოლმე; მაშასადამე, დავითი კითხულობა სამოციქულოს თავიდგან ბოლომდე წელიწადში 24 ჯერ. სამღვთო წიგნების კითხვაც უყვარდა და თვითთნაც სთხზავდა საგალობლებს. ერთი ამისთანა საგალობელი შედგენილია დავითის მიერ წმ. ანდრია კრიტელის შენანების საგალობლის მზგავსად; ამ საგალობელში სულ ცხრა მუხლია და თითოულს მუხლს ზედ დაროული აქვს: „მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე“. ცხრა მუხლს საგალობლისას ცხრა სძლის პირიც ზედ მისდევს. აღფრთოვანებული პიეტური და ყვავილ-დასხმული ენა საგალობლისა, ღრმა ცოდნა სამღვთო წერალისა, შიგ გამოხატული ჭეშმარიტი საქრისტიანო გრძნობა სიმდაბლისა სავსებით ახასიათებს დიდბუნებოვანს მის შემოქმედს, დავით აღმაშენებელს და ვითარებას მისის სულისას, რომელიც ცად-მიმართ მიისწრაფოდა.[7]) აღავსე მადლითა უფლისათა და მითვე აღტკინებულსა მეფე დავითს თვის საგალობელში გულის სიღმრიდან ამოაქვს თვისი წრფელი და მგზნებარე ლოცვა წინაშე ღვთისა და მწარედ მოსთქვამს, მსგავსად თვისის მოსახელის დავით ფსალმუნთ-მგალობლისა, თვისთა ცოდვათათვის. დავით აღმაშენებელმა თავის სამხედრო დიდებას

---

[7]) იხ. გალობა სინანულისა დავით აღმაშენებელისა, „საქართველოს სამოთხე“ საბინინისა, გვ. 513—518; Груз. Дух. Вѣстникъ. 1865 г. № 2; рукоп. Тифл. церкв. муз. № 85.

შეუერთა ბრწყინვალება ძველ საქართველოს აღყვავებულ-ლიტერატურისაცა, თვისის გვირგვინის ალმასებს ზედ დაურთო დაფნები ჰელიკონისაც და ამიტომ ჩვენის ძველის მწერლობას ისტორიამ სახელი მისი ჩაურთო მაშინდელ სახელ-განთქმულ მწერალთა შორის.

ჯერ ისევ ძალ-ღონით სავსეს ჰასაკითა, სრულს ვაჟკაცობითა, მრავალის იმედითა, მოსაზრებითა და ზრუნვით შეპყრობილს სამშობლოსა და მართლ-მადიდებელ ეკკლესიის საკეთილოდ და სადღეგრძელოდ უახლოვდება ყოვლისა დამამშვიდებელი ჟამი სიკვდილისა. დიდხანს არ უცოცხლია ქველობით რაინდსა და სამშობლო ქვეყნისათვის ღვაწლ-მოსილსა და კიდეც იმიტომ იყო ასე ხან-მოკლე მისი სიცოცხლე, რომ აუტანელმა და უზომო შრომამ დაჰლია მისი დღენი. იგი მშვიდობით განვიდა უფლისა მიმართ 1825 წელს, იანვრის 24 დღესა[8]), 54 წლისა დაბადებიდგან და დასტოვა თვის შემდეგ ანდერძი[9]) ღირსი დიდებულისა, ყოვლად-ბრძენისა, მშვიდისა, გულ-მტკინველისა და წმიდა მეფისა

დავითის ბრძნულმა და ბრწყინვალე მეფობამ 36 წლის განმავლობაში გაუთქვა სახელი ამ მეფეს მაშინდელ ხელმწიფეთა შორის და შესძინა სახელი დიდის მეფისა, მრავალმა ძლევამ

---

[8]) იხ. житіе св. Ц. Давида III возобнов. Полное жизн. Святыхъ Груз. цер., Сабинина, ч. 3. стр. 103—140. О праздн., устан. Прав. Груз. церк., Д. Пурцеладзе, стр. 19—31; Груз. и Арменія, Муравьева, ч. 3, стр. 159—167; ქართლ. ცხოვრ. ნაწ. 1, გვ. 236—263; „საქართვ. სამოთხე,“ საბინინისა. გვ. 489—512 „დავით აღმაშენებელი“, ისტ. მონოგ. ნ. ურბნელისა, „მოაბმე“ 1884 წ.

[9]) ანდერძი წმ. დავით აღმაშენებლისა, „საქართვ. სამოთხე“, საბინინისა, გვ. 512—513.

და გამარჯვებამ მეზობელ ერთა საწინააღმდეგო ბრძოლაში — დაიმკვიდრა სახელი ძლევა მოსილისა; განახლებამა და აღდგენამ იმ ქალაქებისამა, რომელიც მის დროს მოოხრებული იყო, აგრედვე აშენებამა და განახლებამ საქრისტეანო ძეგლებისამ — სახელი აღმადგენელისა, აღმაშენებელისა, ხოლო გულმხურვალეობამ, დამოწმებულმა მრავალის სასწაულებითა, რომელიც აწერილი აქვთ მის დროინდელ მწერალთ, — სახელი წმინდანისა. მეფე დავითი დიდად იგლოვა მისმა მადლობელმა ერმა და დიდის ამბითა და გამოჩინებით დაასაფლავა ეკკლესიაში, რომელიც მაშინ შესავალი კარი იყო გელათის მონასტრისა. მის საფლავის ქვას აქვს ასომთავრულის ხუცურით წარწერა, რომელიც აგრეთვე დიდის დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებიდან არის ამოღებული: „ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, ამას დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე“.

ბოლოს ნეშტი ამ გვირგვინოსანის ლამპარისა და ქრისტეს ეკკლესიის დამცველისა გადატანილ იქმნა მის მიერ დაარსებულ გელათის მონასტრის უმთავრეს ტაძარში და დაკრძალულ ტრაპეზ ქვეშა. ეკკლესიამ შერიცხა იგი მშობელ ქვეყნის წმინდანთა და გვირგვინოსან ღვთის სათნო-მყოფთა შორის და დააწესა იდღესასწაულებოდეს ხსოვნა მისი 26 იანვარს. ეკკლესიამვე შეადგენა ცალკე საგალობელი მის სადიდებელად, რომელიც შემდეგ შევსებულ იქმნა კათალიკოსის ანტონ I-ის მიერ.

ხარე ბსმსოფლიო ხსენებასა მართლ-მადიდებელთა ეკკ-ეკკლესიისა ლამპარისასა; აღიტყველენით ხელითა ყოველი სულდგმული ქვეყანასა ზედა; ნუგეშინის

947.922
ბ 545

ცემულ-იქმეენ მარადლ-მადიდებელი ეკკლესია დიდისა მებრძოლისა და ყოვლად ქებულისა და მფარველისა დიდსია დავითის-მიერ. შეუვრდეთ ჩვენცა ძენი შეურყეველისა ეკკლესიისა დიდებულსა დავითს და ვეეედრნეთ დაგვიფაროს ხილულთა და უხილავთა მტერთაგან, მეოხ მხურვალე გულითა გვექმნას წინაშე საყდრისა მეფისა მეფეთასა და უფლისა უფალთასა და ესრეთ სიხარულით უგალობდეთ: გიხაროდენ, ნუგეშინის ცემაო ივერიისაო, გიხაროდენ ერისა შენისა დიდებაო; გიხაროდენ, მეფობათა შვენებაო, გიხაროდენ მართლ-მადიდებლობისა მცველო. გიხაროდენ ერისა შენისა კეთილ მორწმუნებასა ზედა დამამყარებელო, გიხაროდენ ქრისტეს ეკკლესიისა ზღუდეო და სიმტკიცეო; გიხაროდენ, დიდებაო საყდართაო და თვით მპყრობელო, მებრძოლო ერთ მთმავრობისათვის ქრისტეს მოყვარეთა ხელმწიფეთაო. გიხაროდენ, სულითა და ხორცითა, ყოვლად ბრძენო; გიხაროდენ, თავ-ზარ-დამცემო და მძლეველო ქრისტეს მოძულეთა აგარიანთაო, გიხაროდენ, შემმუსრველო ჰაოსიანთა ერისა უკეთურებისაო; გიხაროდენ, სალმრთოო საყვირო მართლ-მადიდებლობისაო, გიხაროდენ ღვთისა-მიერ შეყვარებულო და ქებულო პირსა ზედა ქვეყანისასა. გიხაროდენ, სამეფოისა შენისა ანგელოზო მფარველო; გიხაროდენ, სუნნელო სამოთხისაო და სანთელო სახარებისაო, გიხაროდენ, ჩვენის ცხოვრებისა შემამკობელო; გიხაროდენ, სულთა ჩვენთა განმანათლებელო, გიხაროდენ, დავით, დიდო დიდებაო და სიქადულო ერისა შენისაო. [10])

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასოც. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი

---

[10]) М. Сабининъ. Полн. жизн. свят. Груз. пер., ч. III, стр. 139—140.